17. **რუზანოვს** გრიგოლ ნიკიტას-ძეს — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ალაზნის სასისტემო სამმართველოს ინჟინერ-მელიორატორს.
18. **სამსონიძეს** ივანე იაკობის-ძეს — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს გორის სამმართველოს განყოფილების უფროსს.
19. **ტაბიძეს** შუშანა ილიას ასულს — წულუკიძის სასისტემო სამმართველოს უფროს ინჟინერს.
20. **ჭურხულს** შალვა ალექსის-ძეს — საგარეჯოს სასისტემო სამმართველოს მთავარ ინჟინერს.
21. **ღოღობერიძეს** დიმიტრი მიხეილის-ძეს — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს კოლხიდმშენის საინჟინერო ბიუროს უფროსს.
22. **რიქვანიას** აკაკი ევგენის-ძეს — ქუთა

რევოლუცია და მეცნიერება

(დასასრული).

ერთად, ხაზი გაუსვა მომხსენებელმა, თავიდანვე დიდი ყურადღებას ვუთმობდით მუშაობას ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენებისათვის და 1954 წელს მსოფლიოში პირველმა საბჭოთა ატომურმა ელექტროსადგურმა მოგვცა სამრეწველო დენი. ახლა ფართოდ გაიშალა მუშაობა ატომური ენერგეტიკის დარგში.

სულ უფრო სწრაფი ტემპით ვითარდება ქიმიური მრეწველობა. განვითარების ფართო ბაზა შეექმნა ქიმიის მეცნიერებას, რომელიც უდიდეს როლს ასრულებს ბუნებრივი რესურსების, ახალ ნივთიერებათა და მასალათა რაციონალური გამოყენებაში საფუძველების შექმნაში. მომხსენებელმა განაცხადა, რომ ამ ბოლო წლებში მარგვლუღიკონრელ წარმატებათა დარგი გახდა ბიოლოგია. აქ მოპოვებულია მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი შედეგები.

მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო საბჭოთა მეცნიერების ნელილს კოსმოსური სივრცის კვლევაში.

10 წლის წინათ პირველმა დედამიწის ხელოვნურმა თანამგზავრმა, რომელიც საბჭოთა კავშირმი გაუშვეს, დაიწყო კოსმოსში შეჭრის ერა, განაცხადა მომხსენებელმა. მას შემდეგ წლითიწლობით ვითარდება კოსმოსური კვლევა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის წინადღეებში, 18 ოქტომბერს, საბჭოთა ავტომატურმა სადგურმა „ვენერა—4"-მა მიაღწია პლანეტა ვენერას, ნელ-ნელა დაეშვა მის ატმოსფეროში და დაჯდა პლანეტის ზედაპირზე. სადგურმა პირველმა აწარმოვა სამეცნიერო გაზომვები სხვა პლანეტაზე, საშუალება მოგვცა გამოგვერკვია ატმოსფეროს აგებულება, რაც საუკუნეთა მანძილზე საიდუმლოება იყო კაცობრიობისათვის. ეს უდიდესი მეცნიერული მიღწევა მზის სისტემის პლანეტების შესწავლაში, ახალი უზარმაზარი ნაბიჯია საპლანეტათშორისო მიმოსვლის განსორციელების გზაზე. ახლა უკვე ცხადია, რომ მალე ადამიანი მიაღწევს სხვა პლანეტებსაც და მისი მოღვაწეობის ასპარეზი იქნება არა მარტო დედამიწა, არამედ აგრეთვე ახალი პლანეტები და თვალუწვდენელი კოსმოსური სივრცე.

ბუნების საიდუმლოებათა გამომეცდებინებადი მიდგომაში, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, ახალ, პრინციპულ ძერებს ვეძებთ უწინარეს ყოვლისა იმ გზით, რომ სულ უფრო დეტალურად ვსწავლობთ მატერიის სტრუქტურას, ვიკვლევთ სიცოცხლის მოვლენების ფიზიკურ-ქიმიურ და კიბერნეტიკულ საფუძვლებს, მიკროკოსმოსის კანონებს.

ომისშემდგომ პერიოდში დიდი ყურადღება დაეთმო ამ მიმართულებათა განვითარებას. შეიქმნა ბირთვული ფიზიკისა და ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკის კვლევის ფართო ბაზა, რომელშიც ფიზიკის აგრეთვე ატომბირულის კვლევის საერთაშორისო გაერთიანებული ინსტიტუტი, აგრეთვე ისეთი ახალი უნიკალური დანადგარები, როგორიცაა ნოვოსიბირსკის შემხვედრი კონებით მომუშავე ამჩჩარებელი, ერევნის ელექტრონული ამჩქარებელი. მალე ამუშავდება სერპუხოვის პროტონთა ამჩქარებელი, რომელიც უდიდესია მსოფლიოში; პირველად ლაბორატორიის პირობებში უკვე მიღებულია 76 მილიარდი ელექტრონ-ვოლტი ენერგიის პროტონები. ეს ერთიორად აღემატება ენერგიას, რომელსაც იღებენ უცხოეთის ყველაზე დიდი ამჩქარებლებით.

ოქტომბრის რევოლუცია და სოციალიზმის გრანდიოზული წარმატებანი განვლილი 50 წლის მანძილზე, განაცხადა დასასრულ მ. ვ. კელდიშმა, რომლებმაც დაიწყეს ახალი ეპოქა კაცობრიობის განვითარებაში, ამავე დროს არის მეცნიერების უდიდესი გამარჯვება, მარქსის, ენგელისისა და ლენინის მსოფლიოისტორიული აღმოჩენის განხორციელება.

რევოლუციური მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება, რომელსაც შემოქმედებითად ავითარებს ჩვენი პარტია, ჩვენთვის კომუნიზმის მომავალი გამარჯვების გზას.

შემდეგ მოხსენება — „დიდი ოქტომბრის ისტორიული გამოცდილება" — გააკეთა აკადემიკოსმა ა. მ. რუმიანცევმა.

ოქტომბრის მთელი გამოცდილება, თქვა მან, მუშათა კლასის მიერ ძალაუფლების აღების მოზზადებისა. და განხორციელების გამოცდილება, პროლეტარიატის დიქტატურის, ხელმძღვანელობის საფუძველზე საზოგადოებრივი ურთიერთობის თანდათანობით გარდაქმნის გამოცდილება, სოციალისტური მშენებლობის გამოცდილება არა მარტო საბჭოთა ხალხის, არამედ მთელი მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარია. ამ გამოცდილებისაკენ არის მიპყრობილი პროლეტარული რევოლუციის მეგობრებისა და მისი მოწინააღმდეგეების თვალი. მეგობრები შეიმეცნებენ ამ გამოცდილებას და ამდიდრებენ თავიანთი მიღწევებით, მოწინააღმდეგენი კი ცდილობენ გამოიტანონ აქედან დასკვნები, განამტკიცონ თავიანთი საბოლოოდ შერყეული პოზიციები მსოფლიოში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამოცდილების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარეა სოციალიზმისათვის ბრძოლისა და დემოკრატიისათვის ბრძოლის შეერთების ობიექტური აუცილებლობა.

სსრ კავშირში ეროვნული საკითხის გადაჭრისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის გამოცდილებას, ამ ფრიად რთულ და ძნელ საკითხებს, აგრეთვე პუშმარიტად მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

თანამედროვე სოციალისტური მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკა, განაკრძო ოროტორმა, მოიცავს, ასინთეზებს მთელ საზოგადოებრივ მოვლენებსა და მოქმედებას თავისი ხალხისა და მთელი კაცობრიობის ძირეული ინტერესების თვალსაზრისით. პოლიტიკის ეს სინთეზური ხასიათი განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს მას მეცნიერულ დამუშავებასაც, ასახლებს პოლიტიკას მეთოდებით მთელ საზოგადოებრივ თეორიასთან. ამიტომ პარტია მოითხოვს შეიქმნას თეორიული „მარგი" პოლიტიკური გადაწყვეტილებისათვის.

დიდი ოქტომბერი, თქვა დასასრულ ა. მ. რუმიანცევმა, მსოფლიოში პირველი ძლევამოსილი, პროლეტარული სოციალისტური რევოლუცია ჩვენს ქვეყანაში, კაცობრიობის

ᲛᲐᲚᲐᲚᲘ ᲯᲘᲚᲓᲝᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲐᲓ

ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

— გილოცავთ მაღალ ჯილდოს, — ხშირად გაისმის თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის პარტიაოროს ოთახში ეს სიტყვები. შემოდიან კომუნისტები, რომელთა შრომაც ასე დააფასეს საიუბილეო წელს პარტიამ და მთავრობამ. ქარხნის კოლექტივი რესპუბლიკის სხვა ხაწარმოებთან ერთად დაჯილდოებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სამახსოვრო დროშით.

— ქარხნის კოლექტივმა იგი თავდადებული შრომით მოიპოვა. — განაცხადა „კომუნისტის" კორესპონდენტთან საუბარში ქარხნის პარტიული ბიუროს მდივანმა ს. გელაშვილმა, — საიუბილეო წლის ვალდებულებები გაცილებით მაღალი იყო სხვა წლებთან შედარებით, მაგრამ თავი არ შეგვირცხვენია. 20 ოქტომბრისათვის დიდი გადაკარებებით შევასრულეთ 10 თვის საწარმოო გეგმა. ავითვისეთ ახალი 10-ტონიანი ნაკეთური ხაზი, ყურძნის გადამამუშავებელი აგრეგატი, რომელმაც უკვე ფრიადზე ჩაიბარა გამოცდა.

საიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩვენი კოლექტივი 1957 წლიდან არის ჩაბმული და უკანასკნელ ოთხ წელიწადში ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოს. წელსაც მოწინავეთა რიგებში ვდგავართ. ამ წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანეს საამწყობო საამქრომ, სადაც ცელა ბოლოდა კომუნისტური შრომის სახელს ატარებს, ხარაგომსხმელო და მექანიკურმა საამქროებმა.

[illegible] — ამბობენ ჩვენ [illegible] ქარხნის კომუნისტი — ელენა მუმა. მთელი კოლექტივის საამქროში — [illegible] ენერგიითა შეუდგნენ შრომას და კორექტივი შეიტანეს საიუბილეო ვალდებულებაშიც.

წლიური გეგმა ვადაზე ადრე, დეკემბრის პირველ ნახევარში უნდა შეესრულოთ. ქარხანაში ყოველთ მეოთხე მუშაკი კომუნისტია, და გვჯერა, რომ მათი სიტყვა საქმედ იქცევა.

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ

ᲯᲐᲓᲝᲩᲜᲣᲠᲛᲐ მანქანამ, როგორც ჩაის ფოთლის საკრეფ მანქანა „საქართველოს" უწოდებენ, მოლიანად გაამართლა ის დანიშნულება, რასაც მას კონსტრუქტორები, ტექნოლოგები, აგრონომები და მექანიზატორები უყენებდნენ. არ არის ახალი ის ფაქტიც, რომ მის შემქმნელ კოლეტივს — კონსტრუქტორებს ლენინური პრემია მიენიჭა. უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით დაჯილდოდა ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, სადაც ფეხი აიდგა და დავაფაქიზა „საქართველო".

და, აი, კიდევ ერთი გამარჯვების სიხარული. საიუბილეო ზეიმისათვის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობა დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო ცენტრალური საბჭოს დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სამახსოვრო დროშით.

ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲤᲐᲠᲗᲔᲑᲘ...

ᲐᲠᲐᲑᲒᲘᲡ ნაპირას მთელი სოფელი შეკრებილიყო. ხახდოს კოლმეურნეობა ა�cლებდა ცხვარ-მეცხვარეებს. სოფლის თავკაცმა მ. ტარელაშვილმა გზა დაულოცა მწყემსებს. ფერმის გიგმე, ახალგაზრდა ეფაკეი გ. მოთიაშვილი. პირველი გაუღიცა ფარას. მზის ამოსვლისას ფარები თეთრ, ლუნძულებად გაიჭიმენენ საქართველოს სახეობრო გზაზე. ხელი, „ცხვრის ნაბიჯით" მიმყვებოდნენ ცხვარს გამოცდილი თავჩოხები გ. გვიტაშვილი და ი. მოთიაშვილი, შ. ლაზარიაშვილი, გ. ალიკიაური, შ. ვეშაგური და ნ. დავითური. ეამაყებოდათ მწყემსებს, რომ მათი ცხვარი, გამოორჩეული სილაღითა და სიმსუქნით.

ახლა გადასარეკ ტრასაზე — ერეკლეადან დაწყებული ამჩორსკიანამდე თუ გავლილი, ნახავთ დუშეთის, ყაზბეგის, ლენინგორის, თიანეთისა და ჯავის. რაიონებს (კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ცხვრის ფარებს, უზარმაზარი ლამჩრის ავანგარდი ჩრდილოეთ ქვეყანისის ვაკეებზე მიიკვლევს გზას, ხოლო არიერგარდი — გუდამაყრის ვიწროებსა და ბურსაჭირის ფერდობებზე. თვითეულ კოლმეურნეობას თან მისდევს „სანდენტატო სამსახური", — საბარგო ავტომანქანები, რომლებითაც გადაეკეკეთ დაკოქლებული ცხვარი, მირახრახებენ ცხენის ურმები, დატვირთული მწყემსური ნაბადებით, გამეკეთილ ქეციებითა და ჯამ-ეფერკლით, დინჯად მიბაიჯებენ ხალანიანი სახედრები, ისმის ცხვრის ბღავილი და მეცხვარეთა ძახილი.

ბიდარაზე მლეთის კოლმეურნეობის თავკაცს ვ. ბელიაშვილს დაეკვეთ, რომელმაც გვითხრა, გზაში ჩვენი 17.300 ცხვარიაო. სადღაც, საკოხის მთასთან არის სოციალისტური შრომის გმირის უ. გაგძის ფარა, ტრასაზე გასულან მეცხვარეობის ვეტერანები ძმები შიო და მიხა ნახლაიძეები, უფრო სწორად, მიხა ჯერჯერობით სახლში ტრიალებს, სამაგალითოდ მისი შვილები ვახო და გურამი მგზავრობენ ყოჩაღად. ნოდეეთში ჩასულ მლეთელებს დახვდათ ახალი საცხოვრებელი სახლი, ახალი საწყობი და საპარსი ფარდული. 3.350 ტონაზე მეტი თივა დაუმზადებიათ ამ კოლმეურნეობის მშრომელებს საძოვარზე. ეს გაეცალებთ სპარობს საგეგმო დაკალებას. მხოლოდ ის არის ცუდი, კოლმეურნეობაში კვლავ დაქირავებული მწყემსები რომ პყავთ, მაშინ როცა მუშახელი ყველგან საკმარისია.

კობს ქვემოთ პატარა ნოტოს ახალგაზრდა მთელი მიეთვალთ. გაოფლილ ზურგზე ეკიდა დაკეცილი ნაბადი და ტყავები, ცალ ხელში კობალი ეჭირა, მეორეში კი თოკი, რომელზეც ძაღლი იყო გამობმული.

მიეკისალმეთ და თან სადაურობა კითხეთ.

— გრიშა ჩოხელი ვარ, გუდამაყრიდან, ამ ზაფხულს დაქირავებულ მწყემსად ვიყავი კობელეთან და ახლა სახლში ვბრუნდები ქვეყანთან.

— ეგ ცხვარი სად უნდა შეინახო ამ ზამთარს?

— გავყიდავ ლიტას კი დავიტოვებ.

— კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ფ. აფციაურს მიაკითხე, — ბურჩიეთ მას, — ალ გურჩეენია შენსავე სოფელში იშოვომ, ვიდრე სხვაგან.

გრიშა შეგვიჯდა. აოცილებლად კოლმეურნეობის ცხვარში წავალო და ამბა ვნახოთ.

სოფელ ანდეზიტში, თერგს გაღმა, ყაზბეგელებმა და დუშეთელებს პატარა ფარდულები დაუდგამთ. აქ წარმოებს ცხვრის შემოწმება და გათვლა. დუშეთის რაიონის საწარმოო სამმართველოს უფროსის მოადგილემ მ. ქარსელაძემ და რაიონის მთავარმა ვეტექიმმა ს. ბახტაძემ გვაცნობეს, რომ ანდეზიტი უკვე გაიარეს ბახალეთის, მთიულეთის, ფასანაურის და ქართლის კოლმეურნეობათა ფარებმა. დარჩა ვიწროებია ლენინგორის რაიონის ზოგიერთი ფარაც, თანახეთელ მწყემსებს ჯერ ჯვის ულელტეხილი არ გადმოუვლიათ, მაღაროსკარის და ხეობის კოლმეურნეობათა ცხვარი ქვეყანამთაზეა. ყველანი კარგად მგზავრობენ, რაც მთავარია, დანაკარგი არ ეფოს, გზაში მწყემსებს ემსახურება მომრავი სავაჭროები. საველე სასადილო და „სასწრაფო დახმარება". დუშეთელი ექიმი ო. ხაჭალაური ფლიდან მწყემსებთან არის.

შემოდგომის ბნელ დღეებში მოხეკენი შორეულ — ალაბალიბრეთში აცილებენ მამაც მწყემსებს, მიდიან ფარები და ოკან რჩება მშობლიური იალაღები, რთიფერი ჩანჩქერები და ღრმა ხეობები — ცხვარ-მეცხვარის სალაღობელი.

ეთმანეთის მიპყვებიან ნ. ბაზალის, ა. ხუციძის, გიგო და სიმონ გელაძეების, გ. ღუდუშაურის, ზ. ელოშვილის, ვ. ავსაბაშვილის, კ. ბულაშვილის, მ. მარსაგიშვილის, გ. ფიცხელაურის და კ. ქავთარაშვილის, ფერმებისა და ბრიგადების ფარები, მათი ვაჟკაცური სიტყვა — „ბაზში არ დაკარგონ არცერთი ცხვარი", საგანგებოდ გამოაზამთრონ პირუტყვი და გაზაფხულზე ახალი წარმატებით დაუბრუნდნენ მშობლიურ მთებს.

ᲛᲬᲧᲔᲛᲚᲔᲑᲘ გველეთის ხიდს რომ გასცდებიან, იგონებენ ადრინდელ ამბავს, როცა მთების მრისხანებას საზღვარი არ ჰქონდა, გამუდმებულმა წვიმებმა ისედაც ბობოქარი თერგი მთლად გაეცოფა. ხეთ აგვისტოს ღამეს მდინარემ ღრიალით დატოვა კალაპოტი და რამდენიმე სასთმი წალეკა გზის დიდი მონაკვეთი. კიდევ კარგი, რომ ეს ღამით მოხდა.

მეორე დღეს აქ მოსულ გზის მშენებლებს ვერც კი წარმოედგინათ თუ აქ ოდესმე გზა გადიოდა. თერგის გიგანტურ ძალას წაელეკა რკინაბეტონის კონსტრუქციები, ჯებირები. ადგილიდან დაეძინა უზარმაზარი კლდეები.

გზის ჩაკეტვა ყველაზე აფერო მწყემსებს აფიქრებდათ. ს

ირ, რა გზით უნდა გადაერეკათ ცხვარი ჩრდილოეთ კავკასიაში? ამაზე მაშინ პასუხის გაცემა ძნელი იყო. მაგრამ დატრიალდნენ გზების მამაცი მშენებლები, გზატკეცილების ტმხატცრულმა ბრიგადამ კონცერტები გამართა აგრეთვე ბაღალმთიან სოფლებში — უჩამბაში, ოლადაურში, ბვანაში, კოკოტაურში.

ნ. ᲒᲐᲗᲔᲜᲐᲫᲔ.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. ოჩხამურის მუშაოთა კოოპერატივმა მუხაესტატეში გახსნა ახალი უნივერმაღი, რომელსაც აქვს სამეურნეო, კულტსაქონლის, ტრიოტაჟგალანტერიის, პროდუქტების, ქსოვილებისა და მზა ტანსაცმლის ხეკციები.

მ. ᲛᲣᲨᲕᲘᲓᲝᲒᲐᲫᲔ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 25 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ აქ 21 საათსა და 22 წუთზე ნიუ-იორკის დროით დაიწყო უშიშროების საბჭოს სასწრაფო სხდომა. იგი მოწვეულია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის თხოვნით იმ სიაში მდგომარეობის განსახილველად, რომელიც შეიქმნა ისრაელის აგრესიული მოქმედებით არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ სუეცის არხის რაიონში.

გახსნა რა სხდომა, უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ისრაელმაც ითხოვა უშიშროების საბჭოს მოწვევა.

პირველი გამოვიდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წარმომადგენელი ელ-კუნი, რომელმაც განაცხადა, რომ გუშინ ისრაელმა მოპდინა ბარბაროსული, სრულად უსაბაბო აგრესიის აქტი არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ. ისრაელის ჯარებმა ატრილერიის ცეცხლი დაუშინეს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შშეიდობიან დასახლებულ პუნქტებსა და სამრეწველო ობიექტებს სუეცის რაიონში. შედეგად არის ადამიანთა დიდძალი მსხვერპლი და მიყენებულია მატერიალური ზარალი.

სანამ ისრაელი ამ გამომწვევ აგრესიულ აქტს ჩაიდენდა, განაცხადა ელ-კუნიმ, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე წყლებში შეიჭრა ისრაელის საესკადრო ხაღმოსანი „ელატი".

თავის მოქმედებაში, განაცხადა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წარმომადგენელმა, ისრაელი სრულიად უგულებელყოფს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ორგანიზაციის წესდებას, აბუჩად იგდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტს. ჩვენ მოგვლით, განაცხადა ელ-კუნმ, რომ უშიშროების საბჭო განახორციელებს ღონისძიებებს, რათა დასაჯოს აგრესორი.

ისრაელის წარმომადგენელი რაფაელი თავის გამოსვლაში ცდილობდა მიეჩქმალა ისრაელის აგრესიის აშკარა აქტი, რომელიც გამოიხატა ეგვიპტის ქალაქ სუეცისათვის ბარბაროსულად ცეცხლის დაშენით. ისრაელის წარმომადგენელი შეეცადა სუეცის არხის ზონაში შექმნილი ახალი კრიზისული სიტუაციის გამო ბრალი დაედო არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისათვის. მან დაიწყო ვრცელი განმარტებანი, ცდილობდა ისრაელის აგრესიის ახალი აქტი წარმოესახა „ლეგიკურ ღონისძიებად" არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ტერიტორიულ წყლებში შეჭრილი ისრაელის საესკადრო ხაღმოსნის „ელატის" ჩაძირვის საპასუხოდ, რომელიც თითქოს ხელ უწყობს დროებითი ზავის დაცვას, ისრაელსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის. სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ნ. ტ. ფედორენკომ განაცხადა, რომ ისრაელის ახალმა თავდასხმამ არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაზე ერთხელ კიდევ ცხადყო, რაოდენ დაძაბული მდგომარეობაა ახლო აღმოსავლეთში იმის გამო, რომ დღემდე არ არის ლიკვიდირებული შედეგები ისრაელის აგრესიისა არაბული ქვეყნების წინააღმდეგ.

სუეცს, თქვა ნ. ტ. ფედორენკომ, აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენეს. დანარჩენი ქალაქის მთელი უბნები, დაზიანებული და დაჭრილია მრავალი მშვიდობიანი მცხოვრები, დაზიანებულია და მოსპობილია სამრეწველო საწარმოები. და ეს იყო არა შეცდომა და არა შემთხვევითობა, არამედ ბარბაროსული, წინასწარ დაგეგმილი აქცია ტელ-ავივის მითითებით.

იმ ვითარებაში, რომელსაც ისრაელი ქმნის ახლო აღმოსავლეთში, თქვა ნ. ტ. ფედორენკომ, შეუძლებელია მშვიდობის აღდგენა ამ რაიონში.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომელშიც გადაჭრით გმობს ისრაელს სუეცის რაიონში მოხდენილი აგრესიის აქტის გამო. რეზოლუციის პროექტი მოითხოვს, რომ ისრაელმა აუნაზღაუროს ზარალი არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას და რომ შემდეგში მტკიცედ დაიცვას უშიშროების საბჭოს რეზოლუციები სუეცის არხის საზღვაო მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

ირლანდიის წარმომადგენელი რიფი მიესალმა რეზოლუციის პროექტს, რომელიც საბჭოთა დელეგაციამ წარადგინა.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი გოლდბერგი ცდილობდა, რომ უშიშროების საბჭოს გვიერდი აეღლო სუეცის არხის ზონაში შექმნილი სიტუაციის მიზეზების კონკრეტული განხილვისა და აგრესორის გამოკლინებისათვის. იგი დასჯერდა იმას, რომ ზოგადად დანახება გამოთქვა შექმნილი სიტუაციის გამო. გოლდბერგმა შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომელიც ზოგადი სიტყვებით მოუწოდებს ორივე მხარეს თავი შეიკავონ საომარი მოქმედების განახლებისაგან, აგრეთვე ხელი შეუწყონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეკადინეობას დაზავების დაცვის უზრუნველსაყოფად.

ინდოეთის წარმომადგენელმა პარტასარატჰიმ განაცხადა, რომ ისრაელმა მოახდინა წინასწარგანზრახული თავდასხმა.

სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე ინგლისის, კანადის, ბულგარეთის, საფრანგეთის, მალის, დანიის, ბრაზილიის, არგენტინისა და ეთიოპიის წარმომადგენლები.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობა 1967 წლის 31 აგვისტოსათვის შეადგენდა 17.095.925 კაცს, იუწყება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

23 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ ჩინეთის რადიომ გადასცა, რომ სკოლებში განალგებენ ჯარისკაცებს, რათა დაეხმარონ მოსწავლეებს „დიადი რევოლუციური კავშირების" შექმნაში. ახლა ჩინეთის პრესა აღიარებს, რომ „კულტურული რევოლუციის" დროს რეპრესიები შეეხო სკოლის მუშაკთა ძირითად მასას. 21 ოქტომბერს „ენენმინ ციბაო" წერდა, რომ „რევიზიონისტთა" და „კულტურული რევოლუციის" მოწინააღმდეგეთა თანრიგს მიეკუთვნა მასწავლებელთა, სკოლების დირექტორთა და მათ მოადგილეთა დიდი უმრავლესობა. მასწავლებლებსა და სკოლების ხელმძღვანელ მუშაკებზე თავდასხმებს, როგორც იგივე გაზეთი წერს, „გლობალური ხასიათი" ჰქონდა. ახლა გადწყვეტილია მასწავლებელთა ნაწილი დაბრუნონ სკოლებში. ამ ოპერაციისადმი კონტროლი დაეკვალთ შეიარაღებულ ძალებს. როგორც „ენენმინ ციბაო" აღნიშნავს, არმიის ინსტრუქტორები უკვე რამდენიმე თვეა ზედამხედველობენ სასწავლებლებში და „წესრიგი" დამყარეს პეკინის 80-ზე მეტ საშუალო სკოლაში.

როგორ წყდება სასკოლო პრობლემები, შეგვიძლია განვსაჯოთ პეკინის რადიოს ერთ-ერთი გადაცემიდ მიხედვით ძინგანშანის სკოლის შესახებ, რომელიც სანიმუშოდ ითვლება „სწავლების რეფორმის" პრაქტიკული განხორციელებით. მას შემდეგ, რაც ამ სკოლაში „განხორციელდა დიადი რევოლუციური გაერთიანება", სკოლა სასწავლო დროის 30 პროცენტს უთმობს მაო ძედუნის შრომების შესწავლას, 40 პროცენტს — „კრიტიკის გაკვეთილებს" და 30 პროცენტს — ფიზიკურ მომზადებასა და ყველა დანარჩენ საგანს.

(საკდესი, 24 ოქტომბერი).

ᲞᲠᲝᲒᲝᲙᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲙᲐᲘᲠᲝ, 24 ოქტომბერი (საკდესი). დღეს ისრაელის შეიარაღებულმა ძალებმა არტილერიის ცეცხლი დაუშინეს სუეცის გარეუბნებს, ამ რაიონში მდებარე ნავთობგამოსახდელ ქარხანასა და ნავთობსაცავებს.

პასუხად არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ჯარებმა არტილერიის ცეცხლი დაუშინეს ისრაელის არმიის პოზიციებს სუეცის არხის აღმოსავლეთ ნაპირზე ტაუფიკის ნავსადგურის ზონაში.

17 საათზე ადგილობრივი დროით, აღნიშნულია ცნობაში, სროლა კვლავ გრძელდებოდა.

17 საათსა და 45 წუთზე ადგილობრივი დროით არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სარდლობის წარმომადგენელმა გამოაცხადა, რომ ეგვიპტის არტილერიამ გაანადგურა ისრაელის მოწინავე ცეცხლის წერტილი, რომლებიც ცეცხლს უშენდნენ ტაუფიკის ნავსადგურის აღმოსავლეთ ნაწილს, მოსპეს ისრაელის ოთხი ტანკი.

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲞᲝᲡᲚᲔᲜᲔᲑᲐ

ნიუ-იორკი, 25 ოქტომბერი. (საკდესი). აქ მიღებულია ახლო აღმოსავლეთში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა ჯგუფის მეთაურის გენერალ ბულის მოხსენება, რომელშიც იგი იუწყება, თუ რა ვითარება იყო სუეცის არხის ზონაში 24 ოქტომბერს 17 საათსა და 00 წუთზე გრინვიჩის დროით.

მოხსენებიდან ჩანს, რომ ისრაელის ჯარებმა უგულებელყვეს წინადადება სუეცის რაიონში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და მიმართეს შეფერხებისა და გაჭიანურების ტაქტიკას, რათა რაც შეიძლება დეყოვნებინათ ცეცხლის შეწყვეტა.

მოხსენებაში ნათქვამია, რომ 12 საათსა და 31 წუთზე გრინვიჩის დროით ისრაელის ჯარებმა არტილერიის ცეცხლი დაუშინეს ნავთობსახდელ ქარხანას, სუეცის სამხრეთდასავლეთით.

12 საათსა და 35 წუთზე მიცემულ იქნა წინადადება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა დათანხმდა შეეწყვიტა ცეცხლი 13 საათსა და 00 წუთზე, მაგრამ ისრაელი კავშირგაბმულობის ხაზის „დარღვევათა საბაბით" ჯერ დიდხანს აჭიანურებდა პასუხს, და, ბოლოს, დათანხმდა შეეწყვიტა ცეცხლი მხოლოდ 15 საათსა და 00 წუთზე გრინვიჩის დროით. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა ცდა, რომ ისრაელი დათანხმებულიყო და უფრო ადრე შეეწყვიტა ცეცხლი, უშედეგოდ დამთავრდა.

ᲛᲬᲧᲝᲚᲝᲓ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ. დასასრულს უახლოვდება საქართველოს მეცხოველეობათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიეროსაკვლევი ინსტიტუტის შენობის აგება. შენობის სექსპლოატაციაზე გადაცემა გათვალისწინებულია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის იუბილესათვის.

Თ. ᲙᲐᲙᲘᲔᲙᲘᲫᲔ.

ᲡᲘᲦᲜᲐᲮᲘ. ნაყოფიერ სამეცნიერო შემკრებლობის მუშაობას ეწევა სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. მარტო სახიუბილეო წელს მუზეუმის ფონდები 500-ახალი ფოტოდოკუმენტური, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალით გამდიდრდა. ათობით ახალი ფერწერული, გრაფიკული და სკულპტურული ნამუშევრით შეივსო მუზეუმთან არსებული სამხატვრო გალერეა.

რ. ᲯᲘᲛᲨᲔᲕᲘᲚᲘ.

ᲛᲪᲮᲔᲗᲐ. იზრდება ბიბლიოთეკათა რიცხვი, მკითხველთა რაოდენობა და წიგნის ფონდი. ამჟამად მცხეთის რაიონში მოქმედებს 17 სასოფლო ბიბლიოთეკა, 10 სასოფლო კლუბი და კლუბებთან არსებული 6 ბიბლიოთეკა. მათი წიგნის ფონდი 130 ათასზე მეტ ტომს შეადგენს.

თ. ᲑᲐᲑᲣᲐᲫᲔ.

ᲙᲔᲓᲐ. რაიონული კულტურის სახლის აგიტმხატვრულმა ბრიგადამ (ხელმძღვანელი აჭარის ასსრ კულტურის დამსახურებული მოღვაწე ა. ბოლქვაძე) შეაბეჭვინა რაიონულ კულტურის სახლში კონცერტი გამართა. მაყურებელმა მოიწონა ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი მუსიკალური კომპოზიცია „შრომის გმირები". აგიტმხატვრულმა ბრიგადამ კონცერტები გამართა აგრეთვე ბაღალმთიან სოფლებში — უჩამბაში, ოლადაურში, ბვანაში, კოკოტაურში.

ნ. ᲒᲐᲗᲔᲜᲐᲫᲔ.

ᲡᲢᲘᲥᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ

ᲪᲘᲙᲚᲝᲜᲘ ᲑᲘᲠᲛᲐᲨᲘ

ᲠᲐᲜᲒᲣᲜᲘ, 25 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ ბირმის დასავლეთ სანაპიროს თავს დაატყდა ციკლონი, რომლის შედეგად ქალაქ აკიაბში დაზიანდა და დაინგრა შენობათა 60 პროცენტი.

განსაკუთრებით დაზარალდა ქალაქის გარეუბნები. ერთ-ერთ რაიონში უსახლკაროდ დარჩა ორი ათასამდე კაცი. დაირღვა ქალაქის მ

ჩვენს ეკონომიკაში

გვეტყოვინეგენ „კომუნისტისა“ და საქმესის კორესპონდენტები

რესპუბლიკური დათვალიერება-ფესტივალი

24 ოქტომბერს რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში დაიწყო დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის იუბილეადმი მიძღვნილი საგიტაციო-მხატვრული ბრიგადების რეპუბლიკური დათვალიერება-ფესტივალი. ფესტივალის პირველ დღეს გამოვიდნენ ქარელის, გურჯაანის, ცაგერის, ქობულეთის რაიონული კულტურის სახლებისა და ქუთაისის საკონსერვო ქარხნის საგიტაციო-მხატვრული ბრიგადები.

ბაყურებლები გულთბილად შეხვდნენ გურჯაანელთა გამოსვლას. ბრიგადის ხელმძღვანელს გ. შავკაციშვილს კარგად შეურჩევია მთელი რიგი ნომრები საჭირბოროტო საკითხებზე.

კარგად იმღერეს და იცეკვეს ქუთაისელმა ლ. ხოტივარმა, ვ. ოყროშიძემ და გ. სვანიძემ.

ცაგერის რაიონის წარმომადგენლებმა (ხელმძღვანელი მ. კოპალიანი) შეასრულეს პროგრამა თემაზე „მთაშიც სხსარულია“, ხოლო ქობულეთელებმა (ხელმძღვანელი ი. სალუქვაძე) უჩვენეს მონტაჟი „ასე ვიცით ჩვენ“. მიხალმებანი, სიმღერები, ფელეტონები იყო ქარელის რაიონული კულტურის სახლის საგიტაციო-მხატვრული ბრიგადის პროგრამაში (ხელმძღვანელი გ. ეკალაძე). დათვალიერება-ფესტივალი 29 ოქტომბრამდე გასტანს. (საქდესი).

თევზი მშრომელთა სუფრას

ამბროლაური. (საკ. კორ.). „შაორის ზღვის“ ტალღებს ახლა ყოველდღე სერავენ მოტორიანი ნავები. აქ შეიქმნა თევზსაჭერი პუნქტი. შვიდი გამოცდილი ძეთევზე, რომლებსაც ბ. გოგიჩაიშვილი ხელმძღვანელობს, დიდი რაოდენობით იჭერს სარკისებრ კობრს. მეთევზეთა ბრიგადამ უკვე დაიჭირა 20 ტონამდე თევზი; გემრიელი, მაღალხარისხოვანი ნედლი თევზი უკვე მიიღეს თბილისის, ქუთაისის, ტყიბულისა და ამბროლაურის მშრომელებმა.

მშენებლები საიუბილეო ვახტზე

რუსთავი. (საკ. კორ.). საოქტომბრო შრომითს ვახტზე დგას ერთ-ერთი მსხვილი სამშენებლო სამართველო „ქიმმრეწმშენი“ (უფროსი — საბჭოთა კავშირის გმირი კ. უკლება). სამართველოს კოლექტივმა, რომელიც მუშაობს აზოტოვანი სასუქების ქარხნის მეორე რიგის მშენებლობაზე, რის დამთავრებაც გათვალისწინებულია მიმდინარე ხუთწლედში, ახალი წარმატება მოიპოვა. ოქტომბრის პირველ დეკადაში მშენებლებმა 18 დღის დავალება შეასრულეს და საექსპლოატაციოდ გადასცეს ახალ საამქროთა რამდენიმე ობიექტი.

საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ გ. გოგიძის, ზ. გოცენშტეინის და გ. ლიჩელის ბრიგადები, მათი ყოველდღიური მაჩვენებელი 130-140 პროცენტს აჭარბებს.

იუგოსლავ ფარმაცევტთა პრეპარატები

მუშაობა დაამთავრა იუგოსლავიის ფარმაცევტული მრეწველობის გამოფენამ, რომელშიც მონაწილეობდნენ იუგოსლავიის უდიდესი ქიმიურ-ფარმაცევტული ნაწარმის ქარხნები „გალენიკა“ (ბელგრადი), „კრკა“ (ნოვო-მესტო), „პლივა“ (ზაგრები).

გამოფენის მრავალ დამთვალიერებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია ორმონულმა პრეპარატებმა, რომლებიც დაამზადა იუგოსლავიის ეძველესმა ფარმაცევტულმა საწარმომ „პლივამ“.

სპეციალისტებმა მაღალი შეფასება მისცეს აგრეთვე ფირმა „კრკა“-ს პროდუქციას. იმ სამკურნალო პრეპარატებთან ერთად, რომლებსაც იყენებენ ადამიანის დაავადებებთან ბრძოლაში, თბილისში უჩვენეს ამ ფირმის ყოველგვარი ვეტერინარული პრეპარატები.

გამოფენაზე განსაკუთრებით ფართოდ იყო წარმოდგენილი „გალენიკას“ ქარხნები. ისინი უჩვენებდნენ ქიმიურ-ჰორმონულ პრეპარატებს, აგრეთვე სხვადასხვა კოსმეტიკურ ნაწარმს.

გამოფენის დახურვის შემდეგ იუგოსლავი მედიკები შეხვდნენ თბილისის სამედიცინო საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს. შეხვედრაზე გამოვიდნენ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი საფთიაქო სამმართველოს უფროსი ტ. გაბაძე, რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ხ. ყიფშიძე, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, დოცენტი ვ. წინამძღვრიშვილი, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კანისა და ვენერიულ დაავადებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი, დოცენტი ს. მაჭავარიანი, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიისა და სანიტარიის ფაკულტეტების ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის გამგე, პროფესორი ს. კობალაძე და სხვები. მათ მაღალი შეფასება მისცეს იუგოსლავ ფარმაკოლოგთა პროდუქციას, აღნიშნეს, რომ გამოფენამ ხელი შეუწყო იუგოსლავიისა და საქართველოს მედიკებს შორის შემოქმედებითს გაცვლას, კავშირ-ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას. (საქდესი).

ილიჩის ნათურები მთის სოფელში

ახმეტა. (საკ. კორ.). კარგახანია რაც საბერეს, უტოს, ორვილისა და ქალურისაკენ ელექტროხაზები გავიდა, მაგრამ სიმძლავრის ნაკლებობის გამო ეს სოფლები მაინც „ნახევრად ფანასოლოდ“ ჩაითვლებიან. საოქტომბრო მზადების დღეებში ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით აქ იდგმება 50 კილოვატი სიმძლავრის ტრანსფორმატორი და 3 სატრანსპორტო პუნქტი, „ნერნის ჭიღებით“ დამშვენდება თვით ახმეტა. აქ ორასამდე ლამპიონი მონტაჟდება ჭიკუაძის, სტალინისა და სხვა ქუჩებში.

ხე-ტყის მრეწველობის აწმყო და მომავალი

23 ოქტომბერს მუშაობა დაამთავრა თბილისის ხე-ტყის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს გაფართოებულმა სხდომამ. მასში მონაწილეობდნენ აგრეთვე მთელი რიგი საკვლევი ცენტრების წარმომადგენლები, მოსკოვის, ლენინგრადის, არხანგელსკის, კრასნოდარის ხე-ტყის დამამზადებელი და ხე-ტყის გადამუშავებელი საწარმოების დირექტორები და მთავარი ინჟინრები.

მოხსენება „ოქტომბრის რევოლუცია და სსრ კავშირის ტყის მეცნიერება“ გააკეთა სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ტექნიკური სამართველოს უფროსმა ლ. როსმა.

საქართველოს ხე-ტყის მრეწველობის განვითარების ძირითად მიმართულებებს ახალ ხუთწლედში მიუძღვნა მოხსენება საქართველოს სსრ ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მინისტრმა ვ. ვარაზაშვილმა.

თბილისის ხე-ტყის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში მეცნიერული კვლევის შედეგებზე ილაპარაკა ინსტიტუტის დირექტორმა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ზ. ჩხუბიანაშვილმა.

სსრ კავშირის ხის დამმუშავებელი მანქანათმშენებლობის მდგომარეობა და პერსპექტივები გააშუქა ხის დამმუშავებელი მანქანათმშენებლობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ნ. იაკუნინმა (მოსკოვი).

ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატში თხმელის მერქნის გამოყენების გამოცდილებისა და ქაღალდის წარმოებაში სწრაფმზარდი ფოთლოვანი ჯიშების გამოყენების პერსპექტივების შესახებ ილაპარაკა კომბინატის მთავარმა ინჟინერმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ი. კუხალაშვილმა.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. გომელაური და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე ე. ღუდუშაური.

ბაკურიანის გზაზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ქართველ მედიკთა სტუმრები

თბილისში რამდენიმე დღეს სტუმრად იყო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის დელეგაცია. პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის ი. ბეუზოვსკას ხელმძღვანელობით.

პოლონელ მედიკთა დელეგაცია საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით. სტუმრები იყვნენ მოსკოვსა და ლენინგრადში, გაეცნენ სამეცნიერო-საკვლევ და სამკურნალო დაწესებულებათა მუშაობას.

საქართველოში დელეგაცია ეწვია რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სამედიცინო-სანიტარულ ნაწილს, იმოგზაურა მცხეთასა და გორში, დაათვალიერა საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი.

— განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ თქვენს რესპუბლიკაში ვიყავით საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავის დღესასწაულის წინ, — უთხრა საქდესის კორესპონდენტს ი. ბეუზოვსკამ. — დავრწმუნდით, რომ უდიდესი წარმატებანი გაქვთ მოპოვებული სახალხო მეურნეობის, კულტურის დარგში, გაგეცანით კარგად მოწყობილ ჯანმრთელობის ქსელს.

პოლონეთის მედიკები, ისევე როგორც მთელი ჩვენი ხალხი, ემზადებიან ზეიმით აღნიშნონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავი. ჩვენ ფართოდ გავშალეთ მოძრაობა სოციალისტური შრომის დაწესებულების წოდების მოსაპოვებლად, ვაწყობთ ოქტომბრის იუბილესადმი მიძღვნილ ლექციებს, საუბრებს, საღამოებს. (საქდესი).

ბ. კოპალეიშვილი



გარდაიცვალა სკკპ წევრი 1940 წლიდან, რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი, პერსონალური პენსიონერი **პავლე ვასილის-ძე კოპალეიშვილი.**

ბ. კოპალეიშვილი დაიბადა 1898 წელს ქ. სამტრედიაში მუშის ოჯახში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ 1926 წელს იგი იგზავნება ყაზბეგის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის გამგედ. 1928 წლიდან 1930 წლამდე მუშაობს მასწავლებლად დიდი ჯიხაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში. 1930-1931 წლებში მუშაობს ამავე სოფლის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის გამგედ. 1937 წლიდან 1944 წლამდე მუშაობს სამტრედიის რაიმოწვანეში უფროსს აგრონომად. 1944 წელს გადაყვანილ იქნა ახალციხის რაიმოწვანის გამგედ, ხოლო 1947 წლიდან 1951 წლამდე მუშაობს ახალციხის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ. 1951 წლიდან 1953 წლამდე თბილისის ოლქის ტექნიკური კულტურების სამმართველოს უფროსის მოადგილეა. 1953 წლიდან 1959 წლამდე მუშაობს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში აგრონომად. 1959 წელს პ. კოპალეიშვილი პენსიაზე გავიდა. 1954 წელს მას მიენიჭა დამსახურებული აგრონომის წოდება.

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორდენით, მედლებით „შრომითი მამაცობისათვის“ და „შრომითი წარჩინებისათვის“.

მაღალკვალიფიციური სპეციალისტის, გულისხმიერი ამხანაგის, შესანიშნავი ადამიანის ხსოვნა მარად დარჩება მისი ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

რეკორდი სტრატოსფეროში



1967 წლის 5 ოქტომბერს ცნობილი გამომცდელი მფრინავი საბჭოთა კავშირის გმირი ალექსანდრე ფედოტოვი ე-266 თვითმფრინავით, რომელშიც ორი ტონა ტვირთი იყო, ავიდა 30.010 მეტრ სიმაღლეზე. მსოფლიოს არც ერთი მფრინავი არ ასულა ჯერ ასეთი ტვირთით ასეთ სიმაღლეზე.

საბჭოთა მფრინავის შედეგი ბევრად აღემატება სიმაღლის ოფიციალურ მსოფლიო რეკორდებს, რომლებიც რამდენიმე წლის წინათ დაამყარეს ამერიკელმა მფრინავებმა ჰატმა და ფუულტონმა.

ალექსანდრე ფედოტოვის ფრენა სრულდებოდა ავიაციის საერთაშორისო ფედერაციის კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად. მასალები გადაეცემა ჩკალოვის სახელობის ცენტრალურ აეროკლუბს მსოფლიო რეკორდად რეგისტრაციისათვის. (საქდესი).

* * *

სურათზე: ცაშია გამანადგურებელ-გადამჭერი.

ახალი გამოცდელი მანქანა

ბრიანსკის ტექნოლოგიური ინსტიტუტის უმაღლესი მათემატიკის კათედრის თანამშრომლებმა შექმნეს ორიგინალური მანქანა „დენნიანკა“, რომელსაც შეუძლია მესაჭრელის გამომცდელისა და რეპეტიტორის ფუნქციები. ციფრობრივი გამოსათვლელი მანქანების ლოგიკური ელემენტებისაგან შემდგარი ხელსაწყო გამოირჩევა „ლაბორჩკის“ ტიპის სერიული გამომცდელი მანქანებისაგან მცირე გაბარიტით. მაღალი საიმედოობით, მარტივი პროგრამით.

„დენნიანკას“ ფართოდ იყენებენ პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მეცადინეობებზე კათედრის ყველა ჯგუფში.

(საკ. კორ.).

ჩემპიონთა შეხვედრა



ტენისის საზონათაშორისო ტურნირის მეშვიდე ტურით დაიწყო ცენტრალური შეხვედრები. ამ ტურში პირველ რიგში უყურდებას იპყრობდა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონების შტეინისა და ფიშერის შეხვედრა. შტეინი შავებით თამაშობდა.

ესპანურ პარტიაში იგი შეეცადა პაიკები გაეყვანა ლაზიერის ფლანგზე და მხედარით დიდხანს მანეკრირებდა. ამასობაში ფიშერმა მოამზადა და დაიწყო იერიში მეფის ფლანგზე. შტეინი იძულებული გახდა ხარისხი შეეწირა. პარტია გადაიდო. შავებისათვის მეტად მწვავე და მძიმე მდგომარეობაში.

დაუმთავრებელი დარჩა აგრეთვე **რეშევსკისა** და **გელერის** პარტია. როცა მეტოქეებს ბოლო სვლებისათვის მეტად მცირე დრო დარჩათ, დარბაზში... სინთეზე ჩაქრა. მსაჯებმა გააჩერეს საათები. ამ დროს გელერი დაძაბულად ეძებდა მოწინააღმდეგის გამსვლელი პაიკის მოსპობის გზებს. მალე ნათურები აინთო, მართალია, გელერმა მოსპო ეს პაიკი, მაგრამ ამისათვის ორი პაიკი შეწირა.

მაგმარსურენმა მოუგო **ბუაზიზს, მეკინგმა — კუელარს, პორტიშმა — სატლსს. ბორტ-კაპალეკისა** და **ივანოვ-ბილეკის** პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენები გადაიდო. გადადებული პარტიების დამთავრებისას **პორტიშმა** დაამარცხა **ბუაზიზი, ლარსენმა — კუელარი.**

სპორტული ქრონიკა

▲ **რომში** სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა მეორე ნაკრებმა საერთაშორისო მატჩში დაამარცხა ადგილობრივი „სტელა რამაკოტი“ ანგარიშით 96:59.

▲ **საბჭოს** მაგიდის ჩოგბურთელებმა ბუდაპეშტში გამართეს საერთაშორისო მატჩები. ჩვენმა ქალთა გუნდმა დაამარცხა უნგრეთის მეორე ნაკრები 5:0, ვაჟთა გუნდმა კი ადგილობრივი ნაკრები 6:3.

▲ **გუშინ** დაიწყო „ა“ კლასის მეორე ჯგუფის ქვეჯგუფებში გამარჯვებული სამი უძლიერესი კოლექტივის ასპარეზობა ფეხბურთში უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად. საკუთარ მოედანზე ყარაჯანდის „შახტიორმა“ დაამარცხა ქალაქის სკა 3:1.

ბუენოს აიროსი

ბუენოს აიროსი. (საკ. კორ.). „ბოკა ჯუნიორსმა“ — „ინდეპენდენტე“ 2:1. ეს ბრაზილიელ ფეხბურთელ ფელეს ბოლო ოფიციალური მატჩია. ფელეს ბოლოს ბრაზილიელ ფეხბურთელ ფელეს ბოლოს ბრაზილიელ ფეხბურთელ ფელეს ბოლოს ბრაზილიელ ფეხბურთელ